



არტ-დილერების როლი საქართველოს არტ-ბაზრის განვითარებაში

სალომე სორდია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე (შესაბამისი)
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იური მღებრიშვილი, დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველოში არტ-ბაზარი არც ისე დიდი ხანია რაც არსებობს, ის დაახლოებით 20 წელს ითვლის. დღეს რთულია ვისაუბროთ მის განვითარებაზე.

არტ დილერების ინსტიტუტიხელს უწყობს არტ-ბაზრის განვითარებას, ისინი არიან შუამავლები მხატვარსა და მყიდველს შორის. ჩვენთან, არ შეიძლება ითქვას, რომ არსებობს დილერის ჩამოყალიბებული წოდება. კვლევა ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რა ვითარებაა დღეს საქართველოს არტ-ბაზარზე და რა როლი ეკისრებათ არტ-დილერებს ბაზრის განვითარებაში.

კვლევა ჩატარდა ორი მიმართულებით:

- თბილისში მოღვაწე არტ-დილერების საქმიანობის კვლევა და ანალიზი
- იმ მხატვრების კვლევა და ანალიზი, რომლებიც თანამშრომლობენ დილერებთან

შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომლის საშუალებითაც შევისწავლეთ არტ-ბაზარზე არსებული სიტუაცია და დილერების საქმიანობა. დავადგინეთ აქ მოღვაწე დილერების დადებითი და უარყოფითი მხარეები. გავარკვეეთ რა დამაბრკოლებელი ფაქტორები უშლის ხელს დილერების საქმიანობის წარმატებით განხორციელებას.

გამოვკითხეთ თბილისში მოღვაწე დილერების უმრავლესობა და მხატვარები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- არ არსებობს არტ-დილერის ჩამოყალიბებული წოდება
- პროფესიული კადრების ნაკლებობა
- ფასწარმოების არარსებობა
- მოუხერხებელი საკანონმდებლო სისტემა

მხოლოდ ამ პრობლემების აღმოფხვრის შემდეგ შეიძლება საქართველოში არტ-ბაზრის განვითარება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საქართველოს არტ-ბაზარი, არტ-დილერების ინსტიტუტი, არტ-ბაზარი მსოფლიოში, თანამედროვე არტ-ბაზარი.